სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/07

ქ. თბილისი 24 მარტი 2026

სტუ-ის დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახელობის აგროინჟინერიისა და სასურსათო ტექნოლოგიების პროფესიული კოლეჯის რეორგანიზაციის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „ნ“ ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უნივერსიტეტის ვიცე-რექტორის, პროფესორ თამარ წერეთლის 2026 წლის 23 მარტის MES 3 26 0000348429 სამსახურებრივი ბარათის, აკადემიური საბჭოს 2026 წლის 24 მარტის №01-05-04/28 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2026 წლის 24 მარტის 01-06-02/04 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში პროფესიული განათლების განვითარების, თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროგრამების შექმნისა და მათი ხარისხიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად ერთიანი კოორდინაციისა და ეფექტიანი ადმინისტრირების მიზნით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტის სასწავლო ერთეულის - დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახელობის აგროინჟინერიისა და სასურსათო ტექნოლოგიების პროფესიული კოლეჯი ჩამოყალიბდეს უნივერსიტეტის

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრის სტრუქტურულ ერთეულად;

2. დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახელობის აგროინჟინერიისა და სასურსათო ტექნოლოგიების პროფესიული კოლეჯს შეეცვალოს დასახელება და ეწოდოს დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახელობის პროფესიული კოლეჯი;
3. დამტკიცდეს დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახელობის პროფესიული კოლეჯის დებულება;
4. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2025 წლის 25 სექტემბრის №01-06-02/49 დადგენილებით დამტკიცებულ აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტის დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დებულების მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი ამოღებული იქნეს;
5. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2023 წლის 27 ივლისის №01-06-02/36 დადგენილებით დამტკიცებულ სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დებულების მე-3 მუხლს დაემატოს მე-2 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

   „2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრის სტრუქტურული ერთეულია დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახელობის პროფესიული კოლეჯი“.
6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**